



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
მხარდაჭერა



აქიზის უფლებების  
აქიზის ინსტიტუტი  
NATIONAL INSTITUTE  
FOR HUMAN RIGHTS



**საჯარო დისკუსია საქმეზე**  
**„საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**  
**8 ნოემბერს, 17:30 საათი**  
სასტუმრო IOTA, ლერმონტოვის 10  
თბილისი, საქართველო

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით წარმოგიდგინთ საჯარო დისკუსიას 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის შესახებ.

საჯარო დისკუსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი და აქტუალური გადაწყვეტილებების ფართო პროფესიული განხილვის განსაკუთრებული შესაძლებლობაა. ღონისძიებაში მონაწილეობენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარები, კანონმდებლები, პროფესორები და სტუდენტები.

საჯარო დისკუსიის ფორმატს მხარს უჭერს ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების სამართლის პროგრამა (GIZ).

**დისკუსიის ფორმატი**

დისკუსიის მოდერატორი წარადგენს საქმეს, რის შემდეგაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ავტორი მოსამართლე განიხილავს სასამართლოს გადაწყვეტილებაში გაზიარებულ არგუმენტებს. მონაწილეებს მოსარჩელეთა პოზიციას გააცნობენ მოწვეული ექსპერტები. მომხსენებელთა გამოსვლების შემდეგ, დამსწრე საზოგადოების აქტიური მონაწილეობით გაიმართება დისკუსია.

- მოდერატორი - **დავით ზედელაშვილი**, ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის მკვლევარი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე - **თეიმურაზ ტულუში**, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარე.
- **გიორგი ბათლიძე**, BLC საქართველო პარტნიორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი;
- **ვანო გოგელია**, „PwC საქართველო“ იურიდიული სამსახურის უფროსი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი.



პროექტს ახორციელებს Human Dynamics